პროექტი

ონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

ონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში მოხდა ცვლილება, კერძოდ გაიზარდა როგორც შემოსულობები ასევე გადასახდელები საქართველოს მთავრობის 20.02.2020წ. N325 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის 1 800 000 ლარით. კერძოდ გადასახდელებში დაიგეგმოს 616 716 ლარი სოფელ ღებში, გლოლაში, ჯინჭვისში და ხირხონისში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების კაპიტალური შეკეთებისათვის და 1 183 284 ლარი სოფელ ღებში, გლოლაში, ჯინჭვისში, ხირხონისში და ლაგვანთაში სანიაღვრე არხების, კალაპოტების წმენდა და ნაპირსამაგრი სისტემების აღდგენა რეაბილიტაციისათვის.

წინა წელს გამოუყენებელი თანხებიდან საქართველოს მთავრობის 27.02.2020 წლის N386 განკარგულების თანახმად დაიგეგმოს (10.08.2017 წლის N1679 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი) სტიქიის შედეგად დაზიანებული სოფელ სორის სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაფინანსებლად 61 717 ლარი და საქართველოს მთავრობის 27.02.2020 წლის N385 განკარგულების თანახმად 77 192 ლარი ქ. ონში არსებული სპორტული კომპლექსის ექსპლუატაციისთვის დამატებითი საჭირო სამუშაოების დასაფინანსებლად (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N557 განკარგულების საფუძველზე 2 680 ლარი დარჩენილი იქნა არტუანის უბანში (ნინო ჯაფარიძის სახლიდან ებრაელთა სასაფლაომდე, გოგი ჯაფარიძის სახლის თავიდან ბოლთის ფერდობებამდე) სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის N45 განკარგულების საფუძველზე 9 839 ლარი, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 14 მაისის N1062 განკარგულების საფუძველზე დარჩენილია 313 ლარი სოფელ პიპილეთში მინერალური წყლის, ფანჩატურის შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოდან, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 მაისის N1165 განკარგულების საფუძველზე დარჩენილია 694 ლარი სოფელ წოლაში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაციის სამუშაოდან, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 სექტემბრის N2059 განკარგულების საფუძველზე 4 926 ლარი დარჩენილი იქნა სოფელ სომიწოში წყალსადენის სათავე ნაგებობების ქსელის და რეზერვუარის მოწყობის სამუშაოდან და „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულების საფუძველზე დარჩენილია ეკონომია სოფელ ბარი-მრავალძლის გზის ასფალტირების სამუშაოდან 57 251 ლარი და ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარი-მრავალძალში გზის ასფალტის საფარის მოწყობის (III ეტაპი) სამუშაოდან 1 489 ლარი).

შემცირდეს წილობრივი დაფინანსება სტიქიის პრევენციული ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული 18 500 ლარით, გზის (ბარი-მრავალძლის) სარეაბილიტაციო სამუშაოების 46 725 ლარით, სული 65 225 ლარი დაიგეგმოს ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისათვის საზედამხედველო მომსახურების შესყიდვისათვის.

კულტურულ ღონისძიებებში დაგეგმილი ღონისძიებები ევროპის სპორტის კვირეული 652 ლარი, სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2 610 ლარი, სპორტი ბარიერების გარეშე 675 ლარი და ქართული ტრადიციული თამაში „ლახტი" 238 ლარი ამოღებული იქნეს და გაიზარდოს ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი"-ს სუბსიდია 4 175 ლარით აღნიშნული ღონისძიებების ჩასატარებლად.

გადატანილი იქნეს ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდიდან 1574 ლარი ქ. ონში აღმაშენებლის ქ. N40-ში მდებარე (მუნიციპალიტეტის მერია) შენობის სარემონტო სამუშაოებისათვის.

პროექტი შეადგინა: ვ. გობეჯიშვილი

შემსრულებელი: თ. ბროლაშვილი